დანართი 2

ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების ტექნიკური კრიტერიუმები

(მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულისათვის)

	მოთხოვნა 1. გამოცემის ფორმატი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
1.1	მოსწავლის წიგნისთვის - გამოცემის სტანდარტიზებული ფორმატი: VII-IX კლ. - B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ); X-XII კლ. - A5 (145X200მმ) ან B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ).				
1.2	მოსწავლის რვეულისთვის - გამოცემის სტანდარტიზებული ფორმატი: A5 (145X200მმ) ან B5 (160X230მმ) ან A4 (195X275მმ).				
1.3	ორიენტაცია ვერტიკალური.				

	მოთხოვნა 2. ტექსტის აღქმის ხარისხი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
2.1	ძირითადი ტექსტის[1] სტრიქონის ზომა ყველა სახის ფორმატისთვის: VII-IX კლ. - 72 მმ-დან 153 მმ-მდე; X-XII კლ. - 63 მმ-დან 153 მმ-მდე.				
2.2	შიდა მინდვრის მინიმალური ზომა გვერდზე - 20მმ. (გარდა ჭრამდე გასული ილუსტრაციების შემთხვევისა).				

[1] *ძირითადი ტექსტი - წინამდებარე ფორმისათვის: ტექსტის ნაწილი, რომელშიც სასწავლო გამოცემის მთავარი შინაარსია გადმოცემული.*

2.3	ზედა, ქვედა და გარე მინდვრების მინიმალური ზომა გვერდზე - 10 მმ. (გარდა ჭრამდე გასული ილუსტრაციების შემთხვევისა).				
2.4	ყველა ტიპის წიგნებსა და რვეულებში ილუსტრაციების რაოდენობა გამოცემის სრული დაკაბადონებული ფართის არანაკლებ 15%-ისა.				

	მოთხოვნა 3. შრიფტის ზომა	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
3.1	შრიფტის ზომა ძირითადი ტექსტისთვის: VII-IX კლ. - 9-11 პუნქტი; X-XII კლ. - 8-10 პუნქტი.				
3.2	შრიფტის ზომა არაძირითადი და დამატებითი ტექსტებისთვის: VII-IX კლ. - 8-10 პუნქტი; X-XII კლ. - 7-9 პუნქტი.				

	მოთხოვნა 4. ინტერლინიაჟის[2] ზომა (ძირითადი ტექსტებისთვის)	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
4.1	ინტერლინიაჟის ზომა ავტომატური, გამოყენებული შრიფტის მიხედვით. შესაძლებელია ინტერლინიაჟის გაზრდა 2-4 პუნქტით.				

	მოთხოვნა 5. ტექსტების სვეტებად განაწილება	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა

[2] *სტრიქონთშორისი ხარვეზი, ერთმანეთს მიყოლებულ ორ მეზობელ სტრიქონში შრიფტის ქვედა და ზედა ხაზებს შორის მანძილი.*

5.1	დასაშვებია ორსვეტიანი წყობა ძირითადი და დამატებითი ტექსტისათვის. მაგალითებისა და ამოცანებისათვის დასაშვებია მრავალსვეტიანი წყობა, სვეტებს შორის მანძილით არანაკლებ 9მმ, ფერადი ფონის გამოყენებითა და/ან გამყოფი ხაზით[3] არანაკლებ 6მმ. სვეტებს შორის მანძილი ერთი დავალების ფარგლებში ერთნაირი უნდა იყოს.				

	მოთხოვნა 6. სიტყვებს შორის მანძილი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
6.1	სიტყვებს შორის მანძილი ავტომატურია.				

	მოთხოვნა 7. გამოსაყენებელი შრიფტი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
7.1	სტამბური შრიფტები: ვენური (ჩვეულებრივი), კოლხეთი, მკაფიო. BPG: DejaVu Sans, ნათელი, მრგვლოვანი.				
7.2	ლათინური ასოების, ციფრების, მათემატიკური, ფიზიკური, ქიმიური გამოსახულებებისთვის დასაშვებია, შრიფტების: არიალისა და ჰელვეტიკის გამოყენება. ბერძნული სიმბოლოების გამოსახვისთვის შესაძლებელია სპეციალური სასიმბოლე შრიფტების გამოყენება.				
7.3	მათემატიკურ, ფიზიკურ ან ქიმიურ გამოსახულებებში, სიმბოლოები, ციფრები და ინდექსები იწერება ინტერვალების გარეშე, ხოლო თვით გამოსახულებებს შორის აუცილებელია ინტერვალის გამოყენება.				

[3] *სიმეტრიული ვერტიკალური ცენტრი.*

7.4	დაუშვებელია[4] მხატვრული და მთავრული შრიფტების გამოყენება: VII-IX კლ. - ძირითად, დამატებით და ილუსტრაციების ტექსტებში; X-XII კლ. - ძირითად ტექსტში.				
7.5	ძირითად ტექსტსა და გამოყოფილ ნაწილებში (სათაურების გარდა) რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას: VII-IX კლ. - შრიფტის არაუმეტეს 2 ვარიანტისა, რომლებიც ერთ-ერთი პარამეტრით განსხვავდებიან. მაგალითად: კეგელით, გარნიტურით[5], მოხაზულობით[6]; X-XII კლ. - შრიფტის არაუმეტეს 1 ვარიანტისა.				
7.6	დაუშვებელია არასწორკიდეებიანი შრიფტების გამოყენება.				

	მოთხოვნა 8. შრიფტის ფერი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
8.1	დაუშვებელია ძირითადი და დამატებითი ტექსტის ბეჭდვისას შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით, თუ ეს არ არის მეთოდიკის ნაწილი.				
8.2	დაუშვებელია ტექსტის გამოყოფის მიზნით შრიფტის გამოკვეთა ფერადი საღებავებით ფერად ფონზე.				
8.3	დაუშვებელია ფერადი საღებავები ფერად ფონზე თვალსაჩინოებებში (გრაფიკი, სქემა, ცხრილი, დიაგრამა და სხვა).				

[4] *ქვეპუნქტი არ ეხება სათაურებს, ქვესათაურებს (ნებისმიერი ტიპის).*

[5] *შრიფტების კომპლექტი, რომელთაც ახასიათებთ ასოების მოხაზვის ერთნაირი სტილი. თითოეული გარნიტურის შრიფტი განსხვავდება მოხაზულობით და ზომით (კეგელი).*

[6] *ერთი გარნიტურის ნიშნების კომპლექტი, რომელიც განსხვავდება: ა) ნიშნების სისქით, ბ) ნიშნების დახრილობით.*

	მოთხოვნა 9. კარტოგრაფიული წარწერები	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
9.1	კარტოგრაფიული წარწერებისათვის რეკომენდებულია გამოყენებული იქნეს შრიფტი -კეგელით: 7-9.				

	მოთხოვნა 10. ილუსტრაციის ტექსტი	სრულად ამაყოფილებს/ნაწილობრივ აკმაყოფილებს/ არ აკმაყოფილებს	დასაბუთება	მითითება	ტექნიკური კორექტურის ვადა
10.1	ილუსტრაციის მარჯვნივ მოთავსებული ტექსტის სტრიქონის დასაწყისი (სათაურებისა და აბზაცების გარდა) ვერტიკალურ ხაზზე უნდა მდებარეობდეს.				

შენიშვნა: წინამდებარე მოთხოვნები საერთოა VII-XII კლასების სახელმძღვანელოს/ სერიის მაკეტისათვის, ასევე, როგორც მოსწავლის წიგნისათვის, ისე რვეულისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნა პირდაპირ მიუთითებს რომელიმე მათგანზე (კონკრეტულ კლასებზე, მოსწავლის წიგნზე, მოსწავლის რვეულზე).